ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № ქ-3/9

(მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

CPV 71900000

ქ. თბილისი 17 სექტემბერი 2015წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ლია ძიძიგურის სახით და მეორე მხრივ შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია" („HUMAN GmbH"-ის ექსკლუზიური დისტრიბუტორი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ბრელიძის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია „შემსყიდველის" ჩართვა „HUMAN's EXTERNAL QUALITY ASSESSMENT PROGRAM"-ში.

1.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 200,00 (ორასი) ლარს.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულებით მომსახურების საფასური შეადგენს 100 (ასი) ლარს ერთჯერად კონტროლზე, აღნიშნული თანხა მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ხარჯს და საკონტროლო შრატის ფასს.

2. მომსახურების გაწევის წესი

2.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

2.1.1 აუნაზღაუროს „HUMAN GmbH"-ის ექსკლუზიურ დისტრიბუტორს, შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯიას" ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საფასური;

2.1.2 პირველ მუხლში მითითებულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის განმავლობაში 2-ჯერ (მე-3, მე-4 ეტაპები).

2.1.4 უზრუნველყოს პირველ მუხლში მითითებული პროგრამით გათვალისწინებული პროცედურების გავლა WWW.HumEQAS.de ვებ გვერდზე მითითებული პირობების დაცვით.

2.2 „მიმწოდებელი" - ექსკლუზიური დისტრიბუტორი ვალდებულია:

2.2.1 უზრუნველყოს „შემსყიდველის" დარეგისტრირება პირველ მუხლში მითითებულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად;

2.2.2 უზრუნველყოს „შემსყიდველის" ინფორმირება პროგრამით გათვალისწინებული პროცედურების თაობაზე;

2.2.3 მიაწოდოს „შემსყიდველის" პირველ მუხლში მითითებულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო საკონტროლო შრატები.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება

4.1. გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოადგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების გაწევაზე.
5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:
5.2.1 დროულად უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
5.2.2 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
5.3.1 გაუწიოს შემსყიდველს უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება.
5.3.2 პასუხი აგოს გაწეული მომსახურების ხარისხზე.
5.3.3. უზრუნველყოს გაწეული მომსახურება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.
6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე კონტროლს განახორციელებენ „შემსყიდველის" მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირები.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.
10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.
10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
თსსუ-ს ,,გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემური კლინიკა"	შპს ,,ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია"
მისამართი: ლუბლიანას ქუჩა N21	საიდენტიფიკაციო N202161640
საიდენტიფიკაციო ნომერი: 211328703	ქ. თბილისი, ჯავახიშვილის ქ. N 51
სახელმწიფო ხაზინა,	პროკრედიტ ბანკი
კოდი: TRESGE22	ა/ნ GE37PC0133600100046123
ა/ა: 708987301	ტელ: 599 73 73 07
გენერალური დირექტორი	დირექტორი
ლია ძიძიგური	ზურაბ ბრელიძე
---	---